PX 4836/1.
n 32/1581

ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

OPEN SOCIETY INSTITUTE Budapest

საინფორმაციო ფურცელი მოამზადეს:
რუსუდან ხანიაშვილმა
კოკო ვარვარიძემ

საქართველოს წიგნის გამომცემლობა
და-გამავრცელებლთა ასოციაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

14-17 ივნისი

Tbilisi III Book fair 2001

თბილისის წიგნის III ბაზრობა

2001

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი

Georgian Book Publishers & Booksellers Association

წიგნის ბაზრობას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი ასეთი ბაზრობები ეწყობოდა გერმანიაში, სადაც XIV საუკუნის ბოლოს უნივერსიტეტების მომრავლებასთან ერთად გაჩნდა წიგნით ორგანიზებული ვაჭრობის საჭიროება.

XV საუკუნის ბოლოს წიგნის საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრად იქცა ფრანკფურტი, წიგნის ბაზრობა იქ წელიწადში ორჯერ იმართებოდა. სწორედ ფრანკფურტში შეიქმნა წიგნის ბაზრობის პირველი კატალოგი (Messkatalog), რომელიც ვილერმა გამოსცა 1564 წ.

XVI საუკუნის ბოლოს წიგნის ბაზრობების ცენტრმა ლეიფციგში გადმოინაცვლა.

ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება და არა მხოლოდ გერმანიაში. ამგვარ ბაზრობებს რეგულარულად ატარებენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები. წიგნის ბაზრობებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და როგორც წესი, მათ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალნი ხსნიან.

ამჟამად, ყველაზე ცნობილი ამგვარ ბაზრობათაგან ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაა, რომელიც მსოფლიოს ლიტერატურის ფესტივალად იქცა. მასში, როგორც წესი, მონაწილეობენ მსოფლიოს უდიდესი გამომცემლობები, სააგენტოები, ავტორები. იგი იძლევა პარტნიორების მოძიების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების, შეთანხმებების დადების საუკეთესო შესაძლებლობას. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობებში ბოლო წლების მანძილზე ქართველი გამომცემლებიც აქტიურად მონაწილეობენ.

საყოველთაოდაა ცნობილი სხვა ტრადიციული ბაზრობებიც, როგორიცაა: ლონდონის, ჩიკაგოს, პარიზის, მოსკოვის, სტამბულის, ტოკიოს, სეულის, გეტებორგის, თეირანის, ვარშავის, პრაღისა და ლაიფციგის ბაზრობები.

წიგნის ბაზრობების ტრადიციას საქართველოში საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ დაუდო სათავე.

პირველი მოკრძალებული წიგნის ბაზრობა 1997 წელს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში, საქართველოს წიგნის გამომცემელთა ასოციაციის ინიციატივითა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაწილეობით.

2000 წლის 15-19 ივნისს სურათების ეროვნულ გალერეაში გაიმართა თბილისის II საერთაშორისო წიგნის ბაზრობა, რომლის ორგანიზატორი კვლავ საქართველოს წიგნის გამომცემელთა ასოციაცია იყო. ამჯერად პროექტი ფონდ "ევრაზიის" ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ვიმედოვნებთ, თბილისის წიგნის ბაზრობა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს და ისეთივე პოპულარული გახდება, როგორც მსოფლიოს სხვა ცნობილი წიგნის ბაზრობები.

მიუხედავად იმისა, რომ ეპოქას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ პოსტგუტენბერგის ეპოქას უწოდებენ და ხშირად მსჯელობენ ლიტერატურისა და კითხვის კრიზისზე, უეჭველია, რომ ელექტრონული პუბლიკაციები ჯერ კიდევ დიდხანს ვერ ჩაანაცვლებს წიგნს. კინოს გამოჩენის შემდეგ ზუსტად ასევე წინასწარმეტყველებდნენ თეატრის გარდაცვალებას, ხოლო ტელევიზიის გამოჩენამ კინო მოაქცია ასეთივე პროგნოზების კონტექსტში. მაგრამ, როგორც ვხედავთ, კინო და თეატრი დღესაც ავსებენ კულტურულ პროცესში მათთვის მიჩენილ სივრცეს.

ასე რომ, გამომცემლობები კიდევ დიდხანს შეინარჩუნებენ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, რადგან წიგნი არის არა მხოლოდ მრავალფეროვანი ინფორმაციის დროსა და სივრცეში ტექსტური ფორმით შენახვისა და გადაცემის საშუალება, არამედ ნივთი, რომელსაც თავისთავადი ღირებულება აქვს და ხშირ შემთხვევაში ხელოვნების სრულყოფილ ნიმუშს წარმოადგენს.

წიგნის შექმნის ხელოვნება მატერიალურს, ხელშესახებს ხდის წიგნის სამყაროს, ქმნის მკითხველის ტექსტთან ურთიერთობის განსაკუთრებულ გარემოს, რომლის ფორმირებასაც პირველ რიგში, წიგნის "სხეულის" საგნობრივი თვისებები ახდენს, რადგან თვით წიგნის სტრუქტურა მკითხველამდე დიდი მოცულობის ტექსტების კომპაქტური ფორმით მიტანის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა.

წიგნი იმ სახით, რომლითაც დღეს არსებობს, ათას ხუთას წელს ითვლის, რადგან წიგნი საუკუნეების განმავლობაში უცვლელად ინარჩუნებდა თავის ფორმას, თუმცა იცვლებოდა წიგნების შინაარსი, მათი გაფორმების სტილი, წარმოების ტექნოლოგია და მასალები.

გადიოდა დრო და ხელნაწერი წიგნი ნაბეჭდმა წიგნმა შეცვალა. წიგნის ბეჭდვის გამომგონებლად კულტურის ისტორიამ იოჰან გუტენბერგი (1399-1468) აღიარა. წიგნის ბეჭდვამ არნახულად გააიოლა ინფორმაციის ტირაჟირება და გავრცელება, რამაც გარდამტეხი ცვლილებები შეიტანა ისტორიაში. სწორედ ბეჭდური წიგნის გამოჩენას უკავშირებენ რეფორმაციასა და რენესანსს, რადგან გამრავლებული და გაიაფებული წიგნი ფართო მასების საკუთრებად იქცა, რამაც ხელი შეუწყო ახალი იდეებისა და კარგად დავიწყებული ძველი იდეების გავრცელებას.

ტირაჟირებულმა ცოდნამ ადამიანს თავისუფალი აზროვნების საშუალება მისცა. ფაქტობრივად, საინფორმაციო საზოგადოებას სწორედ გუტენბერგის გამოგონებამ დაუდო სათავე.

დღეისათვის მსოფლიოში წიგნის გამოცემის მასშტაბები არნახულად გაიზარდა, რადგან წიგნი კვლავ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ყველაზე საუკეთესო ფორმად რჩება.

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი - "ქართულ-იტალიური ლექსიკონი" 1629 წელს დაისტამბა რომში, იტალიაში საქართველოს ელჩის ნ. ჩოლოყაშვილის ინიციატივით.

1643 წელს იმავე სტამბაში დაიბეჭდა ფრანცისკ მარიო დავჯოს "ქართული გრამატიკა".

მე-17 საუკუნის 80-90 წლებში პოლიტიკური ვითარების გამო მოსკოვში გადასახლებულმა არჩილ მეორემ პეტრე პირველის ნებართვით დააარსა ქართული სტამბა, სადაც 1705 წელს დაიბეჭდა ფსალმუნები ქართულ ენაზე.

პირველი სტამბა თვით საქართველოში, კერძოდ თბილისში 1709 წელს დააფუძნა ვახტანგ მეექვსემ, ამავე სტამბაში 1709 წელს ქართულ ენაზე დაიბეჭდა "ბიბლია".

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია შეიქმნა 1996 წელს და მას "ქართველ გამომცემელთა ასოციაცია" ეწოდა. იგი წარმოადგენდა ფიზიკურ პირთა — გამომცემელთა, ავტორთა და სხვ. - გაერთიანებას.

1998 წელს ასოციაცია ყალიბდება როგორც კორპორაციულად ორგანიზებული გაერთიანება, ანუ იურიდიულ პირთა, გამომცემლობათა გაერთიანება. ამ დროიდან მას სახელი შეეცვალა და "საქართველოს წიგნის გამომცემელთა ასოციაცია" ეწოდა.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა ასოციაცია არის არასამთავრობო, არაკომერციული, პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს და იცავს გამომცემელთა საერთო ინტერესებს.

2000 წელს ასოციაციას შეუერთდნენ წიგნის გამავრცელებლები, შესაბამისად ასოციაციას შეეცვალა სახელწოდება და იგი "საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია" გახდა.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა ასოციაციის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში საგამომცემლო საქმიანობის განვითარებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, საავტორო უფლებების დაცვასა და ამ სფეროში მოქმედი საერთაშორისო ნორმების დამკვიდრებას, საგამომცემლო პროდუქციის თავისუფალი მიმოქცევისათვის ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმის შექმნას, საერთაშორისო წიგნის ბაზრობებში ქართველ გამომცემელთა მონაწილეობასა და ანალოგიური ბაზრობის საქართველოში გამართვას.

ორგანიზაციები, რომლებთანაც თანამშრომლობს ასოციაცია :

- ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
- ფონდი "ევრაზია"
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
- საქართველოს კულტურის სამინისტრო
- OSI - ბუდაპეშტი
- Metapress - პოლონეთი
- ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა
- გოეთეს ინსტიტუტი
- ბრიტანეთის საბჭო
- IBD - საერთაშორისო წიგნის განვითარება (ინგლისი)

The Georgian Publishers' and Booksellers' Association was founded in 1996.

GPBA is a non-governmental, non-profit professional organization.

The objectives of the Association are:

· To defend the rights and interests of publishers and booksellers in Georgia, to publish and distribute works of the mind in complete freedom;

· To protect the principles of copyright in Georgia;

· To support the development of legislative basis for the book and publishing trade in Georgia;

· To integrate Georgian publishing business into the worlds' publishing process;

· To cooperate with other national and international organizations;

· To encourage Georgian publishers' participation in International Book Fairs;

· To arrange Book Fairs in Georgia.

The production of members of GBPA makes up 90% of the Georgian book market.

The Georgian Publishers and Booksellers Association established the tradition of Book Fairs in Georgia.

The first Tbilisi Book Fair was arranged in 1997 in the National Parliamentary Library of Georgia.

In 2000 GPBA organized the second Tbilisi International Book Fair, which was held on a much larger scale than the first one.

We do hope the Tbilisi Book Fair will establish itself as an important cultural event for South Caucasus as well for publishers from abroad.



პროგრამა

14 ივნისი

13. 00 – ბაზრობის გახსნა

14.00- ლიტერატურული ალმანახის "ფორუმი" პრეზენტაცია – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

15.00 – თემურ ჩიხლაძის "თეოზი" – გამომცემლობა "აზრი"

16.00 – მამუკა ლეკიაშვილის ლექსების კრებული "ვთქვათ, არავინ" – ოთარ ყარალაშვილი

15 ივნისი

12.00 – "ტექინფორმი" – ორგანიზაციის საქმიანობის პრეზენტაცია

14.00 – ანტიკვარული წიგნის აუქციონი

15.00 – ზურაბ ქარუმიძე "ღვინომუქი ზღვა" გამომცემლობა "აზრი"

16.00 – გიგა ზაალიშვილი "ერთი წელი ჩეჩნეთის ტყვეობაში" ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

17.00 – დათო ტურაშვილი "ტიბეტი არ არის შორს" ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

18.00 – აკა მორჩილაძე "გაქრები მადათოვზე" ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

16. ივნისი

12.00 – "ბაყაყებისა და თაგვების ომი" – ძველი ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ლ. ბერძენიშვილმა ლოგოს პრესი

13.00 – ომარ ხაიამის 55 რობაი – თარგმნა მაგალი თოდუამ გამომცემლობა "აზრი"

14.00 – გამომცემლობა ბაკურ სულაკაურის ვებსაიტისა და წიგნის "Windows' 98" პრეზენტაცია

15.00 - გივი მარგველაშვილი – "თხზულებათა ხუთტომეული" კავკასიური სახლი

16.00 – გიგი სულაკაური "ქუჩის ბიჭების გასაგონად" ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

17.00 – ნათელა ურუშაძე "მთავარი მონმის ნაამბობი – მიხეილ თუმანიშვილი" ქართული თეატრის საცავი

18.00 – გრუეგორუ ბოგუტა – BiP სემინარი

17 ივნისი

11.00 – გოეთეს ინსტიტუტი - აწყობს ორი გერმანელი ავტორის წიგნების პრეზენტაციას

13.00 – ქართული ექსლიბრისი – გამომცემლობა "აზრი"

15.00 – ლაშა თაბუკაშვილი "თოვლივით თეთრი თოვლი" ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

17.00 – აქცია - წიგნები ბიბლიოთეკებს

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

გინდეთ
ახალი წიგნების
პრეზენტაციაზე

14 ივნისი

14.00.....ახალი ქართული ლიტ-ერატურული ალმანახი „ფორუმი"

15 ივნისი

16.00.....გიგა ზაალიშვილი „დელ მარში — ერთი წელი ჩე ჩნეთის ტყვეობაში"

17.00.....დათო ტურაშვილი „ტიბეტი არ არის შორს"

18.00.....აკა მორჩილაძე „გაქრე-ბი მადათოვზე"

16 ივნისი

13.00..... Windows 98 ნაბიჯ-ნაბიჯ გამომცემლობის საიტის პრეზენტაცია

16.00.....გიგი სულაკაური „ქუჩის ბიჭების გასაგონად"

17 ივნისი

12.00....ლაშა თაბუკაშვილი „თოვლივით თეთრი თოვლი"

თბილისის წიგნის ბაზრობა
2001